383
1963/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 32 (229) 20 ნოემბერი 1963 წელი


## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი


490. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის ნორმების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დამრღვევთა, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე ადგილობრივი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამრღვევთა დაჯარიმების წესის შესახებ.

491. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-კანადის სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

492. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-ტანგანიკის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

493. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

494. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა-კავშირ ირანის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.


#### განყოფილება მეორე


495. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. პ. პისნიაჩევსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

496. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ი. ბერგისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

497. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „კომუნისტ ტაჯიკისტანას“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

498. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. კ. [illegible]საევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

499. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კაპიტან ე. ა. ფლეროვის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

500. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. ალექსეევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

501. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოეპის შესახებ.

502. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. ლებანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**490** **სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის ნორმების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დამრღვევთა, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე ადგილობრივი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამრღვევთა დაჯარიმების წესის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომ შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-3 მუხლში სიტყვები: „სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და ცხოველებისა და მცენარეთა კარანტინის წესების“ შეიცვალოს სიტყვებით: „სანიტარულ-ჰიგიენური წესების, ცხოველთა კარანტინის წესების, სხვა ვეტერინარულ-სანიტარული წესების და მცენარეთა კარანტინის წესების“.

ამავე ბრძანებულების მე-13 მუხლის დამატებით სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებს მიენიჭოთ უფლება ადმინისტრაციული წესით დააჯარიმონ სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ცხოველთა კარანტინის ნორმების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დამრღვევნი, აგრეთვე ეპიზოოტიასთან ბრძოლის საკითხებზე ადგილობრივი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დამრღვევნი ისე, რომ არ მიმართონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს.

ეს ბრძანებულება და „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომ შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი დასამტკიცებლად შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 ნოემბერი.

№ 1852-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**491** **საბჭოთა კავშირ-კანადის სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის რატიფიკაციის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ოქმი სსრ კავშირსა და კანადას შორის 1956 წლის 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვალს დადებული სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, ხელმოწერილი ოტავაში 1963 წლის 16 სექტემბერს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 ნოემბერი.
№ 1853-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 492 საბჭოთა კავშირ-ტანგანიკის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი დარ-ეს-სალამში 1963 წლის 14 აგვისტოს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 11 ნოემბერი.
№ 1854-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 493 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1963 წლის 16 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ნოემბერი.
№ 1860-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 494 ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ირანის შაჰინშაჰის მთავრობას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე, ხელმოწერილი თეირანში 1963 წლის 27 ივლისს, **რატიფიცირებულ იქნეს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 15 ნოემბერი.

№ 1869-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 495 ამხ. დ. პ. პისნიაჩევსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ხარკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი პეტრეს ძე პისნიაჩევსკი **დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 ნოემბერი.

№ 1845-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 496 აკადემიკოს ა. ი. ბერგისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

რადიოტექნიკის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოს აქსელ ივანეს ძე ბერგს **მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება** და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 10 ნოემბერი.

№ 1851-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 497 გაზეთ „კომუნისტ ტაჯიკისტანას“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის მუშაობისათვის იმ მიზნით, რომ კომუნისტურად აღეზარდა ტაჯიკეთის მშრომელები და დაერაზმა ისინი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად, რესპუბლიკური გაზეთი „კომუნისტ ტაჯიკისტანა“ მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 13 ნოემბერი.

№ 1865-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 498 ამხ. ი. კ. ჩუკსეევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამრეწველო მშენებლობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რსფსრ მშენებლობის სამინისტროს ოკისპირეთის ეკონომიური რაიონის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. იაკობ კორნეის ძე ჩუკსეევი დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 13 ნოემბერი.

№ 1866-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 499 კაპიტან ი. ა. ფლეროვის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1941 წელს ფრონტზე გაჩაღებულ ბრძოლებში სარდლობის დავალების შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის კაპიტანი ივანე ანდრიას ძე ფლეროვი დაჯილდოვდეს **სამამულო ომის I ხარისხის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 14 ნოემბერი.

№ 1867-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 500 ამხ. ნ. ა. ალექსეევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ალექსეევს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ური“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 16 ნოემბერი.
№ 1870-VI.

**გასწორება**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (1963 წელი, № 31, მუხლი 472) გამოქვეყნებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულება უნდა იკითხებოდეს:

„საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ბელორუსიის პროფკავშირთა“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

## ნაწილი II

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 501 ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ინაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ქვაჭაძე.**

თბილისი. 1963 წლის 12 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 502 ამხ. შ. ა. ლებანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საგზაო მშენებლობის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ამხ. შალვა ალექსის ძე **ლებანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი, 1963 წლის 12 ნოემბერი.